განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 30. 09. 2019

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი 27.11.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაციის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატო ალავიძე - ფარმაციის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე - სტუდენტი ექსპერტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა შაშიაშვილი – დამსაქმებელი-ექსპერტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაციიის მენეჯმენტის სამგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, მათ შორის სასწავლო კურსებს და სამაგისტრო ნაშრომს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას; არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები არ არის გაწერილი სამი კომპეტენციით. თუმცა ადმინისტრაცია აპელირებს საქართველოს განათლების , მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის ბრძანებაზე # 69/ნ (2019 წლის 10 აპრილი), რომლის მუხლი #4 განსაზღვრავს: ამ ბრძანების მე -2 მუხლის „ა“ ქცეპუნქტით გათვალისწინებული ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც ავტორიზაციის/აკრედიტაციის რეჟიმში უწყვეტად განხორციელების მიზნით აისახება ამ ბრძანების ამოქმედებიდან 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით წარდგენილ საავტორიზაციო/ სააკრედიტაციო განაცხადში, უნდა შეესაბამებოდეს ამ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს ან „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩაროს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის #120/ნ ბრძანებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2011 წლის 21 ოქტომბერს. (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N136 გადაწყვეტილება).

სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია თსსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად და ითვალისწინებს როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სპეციალური დისციპლინების შესწავლას. “ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრის” აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა საჭიროა აითვისოს 120 ECTS კრედიტი, რაც გულისხმობს პროგრამის ძირითად კურსებს – 60 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი, პროფესიულ პრაქტიკას -18 კრედიტი და არჩევითი სასწავლო კურსები -12 კრედიტი. მეოთხე სემესტრი სრულად ეთმობა კვლევით კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას შესაბამისი მიმართულებით, რომლის შედეგებიც აისახება სამაგისტრო ნაშრომში. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა შეესაბამება ასათვისებელი მასალის სირთულეს, რაოდენობასა და სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის და სწავლების შედეგების მიღწევას, შეესაბამება მაგისტრის მომზადების თანამედროვე მეთოდოლოგიას და სპეციფიკას.

პრაქტიკული კომპონენტის (18 კრედიტი) განხორციელება ხდება კომპანია „პსპ“ და შპს „ავერსის“, შპს „ნეოფარმის“ ბაზებზე, შპს ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საფუძველზე.

პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები აქცენტირებულია სოციალური ფარმაციის, ფარმაციის მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფარმაცევტული ბიზნესის, ფარმაკოეკონომიკის, ფარმაცევტული ზრუნვის, როგორც დინამიურად განვითარებადი სფეროების, გაღრმავებული შესწავლის დამოუკიდებლად წარმართვაზე, ფარმაციის სისტემაზე/ორგანიზაციაზე მოქმედი გარე და შიდა გამოწვევების კვლევაზე, ადმინისტრირებასა და მიღებული შედეგების კრიტიკულ ანალიზზე, კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის ახალი იდეების გენერირებისა და გადაჭრის გზების ძიებაზე;

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ, შესაბამისი მიმართულებით, როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი „ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრების“ მოსამზადებლად.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მექანიზმი მოიაზრებდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებაზე მუშაობას და ამავდროულად თსსუ ახორციელებდა პროგრამების შიდა ხარისხის მონიტორინგს და შეფასებას, თვითშეფასების ჯგუფის მიერ მოხდა პროგრამის შინაარსობრივი და სტუქტურული ცვლილებები, რომელიც განსახილველად და დასამტკიცებლად ჯერ წარედგინებოდა ფაკულტეტის და შემდეგ აკადემიურ საბჭოს. განხორციელებული ცვლილებების შედეგად პროგრამა საგრძნობლად გაუმჯობესდა, გახდა უფრო მოქნილი და სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი უფრო დაიხვეწა და ორიენტირებულია შედეგების მიღწევაზე.

რეკომენდაციები

მაგისტრატურის დებულების თანახმად (თსსუ-ს აკად.საბჭოს2012 წლის 7 მაისის #245 დადგენილება) ფარმაციიის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში იკითხება პუნქტი 17.2.9. - საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის 51 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს თანხმობით. აღნიშნული არ შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, ვინაიდანს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებაში №3 2007 წლის 5 იანვარი ქ. თბილისი „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ნათქვამია რომ, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის მე-9 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის;

სამაგისტრო ნაშრომების აკადემიურობის გაზრდის მიზნით, საგანმანათებლო პროგრამაში უნდა დაემატოს აკადემიური წერის კურსი;

გამკაცრდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევის წესი;

სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციას დაემატოს გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები. ასევე პლაგიატის შესახებ მკაცრი მითითება, აკადემიური პატიოსნების დაცვის ვალდებულების გააზრების მიზნით;

რეცენზენტებისთვის გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ისე, რომ რეცენზია ასახავდეს თუ რა საამეცნიერო სიახლეს შეიცავს ნაშრომი და რამდენად რელევანტურია მიღებული დასკვნები;

სწავლების, სწავლის და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლება; თუმცა არსებობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. შესაძლებელია არჩევითი კურსების შეთავაზება ინგლისურ ენაზეც ალტერნატივის სახით;

სტუდენტების მეტი აქტივობით ჩართვა გაცვლით პროგრამებში.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

თვითშეფასების ჯგუფის მიერ მოხდა პროგრამის შინაარსობრივი და სტუქტურული ცვლილებები, განხორციელებული ცვლილებების შედეგად პროგრამა საგრძნიობლად გაუმჯობესდა, გახდა უფრო მოქნილი და სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი უფრო დახვეწილია, შედეგების მიღწევაზეა ორიენტირებული.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
აღწერა და შეფასება პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ფარმაციის მენეჯერები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა, უნარები და კომპეტენციები მენეჯმენტის მეთოდების, მართვის სისტემების, მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის, ფარმაკოეკონომიკის, ფარმაცევტული და სამედიცინო პროდუქციის ექსპერტიზისა და ფარმაცევტული ზრუნვის შესახებ, რათა მათ დამოუკიდებლად განახორციელონ მაღალი დონის მენეჯერული, კონკურენტუნარიანი მარკეტინგული და ფარმაკოეკონომიკური მიმართულებებით საქმიანობები, რითაც ხელს შეუწყობენ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებას; მიზანი შეესაბამება თსსუ-ის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, უნივერსიტეტის მიზანს და სტრატეგიულ გეგმას - პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრებს“- აღჭურვას ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის აუცილებელი ცოდნითა და უნარებით, სწავლების, კვლევისა და პროფესიული მზადების გზით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ფარმაცევტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ შემოთავაზებული თანამედროვე სტანდარტების შემუშავების, დანერგვის და განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფს ამ მიმართულებით ახალი ცოდნის შექმნასა და გავრცელებას; სამაგისტრო პროგრამის მიზანი რეალისტური და მიღწევადია და პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბაზრო ეკონომიკისა და ფარმაცევტული ბაზრის ფორმირების სრულყოფასა და ფარმაციის დარგისა და საზოგადოების განვითარებაში; თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო დოკუმენტაციიის განხილვით და ინტერვიურებით დგინდება, რომ თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის რეჟიმი დგინდებოდა Ex Tempore; შეხვედრები ტარდებოდა ჯგუფის სრული და/ან თემატური შემადგენლობით, გადასაწყვეტი და შესათანხმებელი საკითხების სპეციფიკის მიხედვით. განხილული საკითხები და გადაწყვეტილებები ფორმდებოდა სხდომის ოქმის სახით. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალი ამოცანების, განვითარების პერსპექტივებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, თვითშეფასების პროცესის ერთ–ერთი პირველი ეტაპი იყო მუშაობა უნივერსიტეტის მისიის, ღირებულებებისა და ხედვის რევიზიის თვალსაზრისით. ამ პროცესში ჩართული იყო თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი და მათ საკურაციო სფეროში მყოფი

პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმები • თსსუ-ის მისია, ხედვა. ღირებულებები https://tsmu.edu/ts/content/2/42/0/0/0/0 • თსსუ-ის წესდება; • თსსუ-საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,შემუშავებისა დაგანვითარების მეთოდოლოგია • თსსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა https://tsmu.edu/ts/content/2/49/0/0/0/0 • თსსუ-ის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტი“ • თსსუ-ის ვებ გვერდი https://tsmu.edu/ts/home
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სამაგისტრო ნაშრომების აკადემიურობის გაზრდის მიზნით, საგანმანათებლო პროგრამაში უნდა დაემატოს აკადემიური წერის კურსი; • გამკაცრდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევის წესი; • სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციას დაემატოს გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები: ასევე, პლაგიატის შესახებ მკაცრი მითითება, აკადემიური პატიოსნების ვალდებულების გააზრების მიზნით; • რეცენზენტებისთვის გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ისე, რომ რეცენზია ასახავდეს რა სამეცნიერო სიახლეს შეიცავს ნაშრომი და რამდენად რელევანტურია მიღებული დასკვნები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების

გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამებისთვის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რის საფუძველზეც ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი დამოუკიდებლად შეძლებს ფარმაცევტული დაწესებულებებისა და საქმიანობის ეფექტურ მართვაში ჩართვას (მენეჯმენტის უნივერსალური ფუნქციების, გუნდური მუშაობის, ლიდერობის, გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და განხორციელების პროცესში), კონკურენტუნარიანი მარკეტინგული და ფარმაკოეკონომიკური კვლევების განხორციელებას, რაციონალური ფარმაკოთერაპიის შესახებ მაღალკვალიფიციური კონსულტაციის მართვას და ზედამხედველობას, ფარმაცევტული და სამედიცინო პროდუქციის ექსპერტიზის ჩატარების მართვას და ზედამხედველობას, ახალი იდეების სიღმისეულ გაცნობიერებას, ინფორმაციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დახასიათებას და სტატისტიკურ დამუშავებას, ფარმაციის პოლიტიკის, კარგი ფარმაცევტული პრაქტიკების, ხარისხის სისტემის, ფარმაკო ზედამხედველობის, ფარმაკოეკონომიკური, მენეჯმენტის, მარკეტინგის მიმართულებით განხორციელებული კვლევის შედეგების შესახებ პროფესიულ საზოგადოებასთან და მომხმარებელთან ინფორმაციის მიწოდებას და დისკუსიას, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ მიმართულებებით ახალი ცოდნის შექმნასა და გავრცელებას, პროფესიული მასალის მოძიებას და პრეზენტაციის გაკეთება ქართულ /ან უცხოურ ენებზე. საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ სწავლის შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერით დადგენილ დარგობრივ მახასიათებლებს. ამასთანავე, კურიკულუმის რუკაში აისახება, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება), და პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამივე დონეზე განვითარების შესაძლებლობა. ასევე, კურიკულუმის რუკა ავლენს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს, თითოეული სასწავლო კურსის როლს, დანიშნულებასა თუ აუცილებლობას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში, რაც მნიშვნელოვანი მექანიზმია პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტურობის და განხორციელებადობის გასაზომად. სუსტი მხარეების იდენტიფიცირების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი, დაინტერესებული მხარეების აზრის გათვალისწინებით, ფაკულტეტის დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად, იღებს ადეკვატურ ზომებს სწავლის შედეგების მისაღწევად სასწავლო კურსების ოპტიმიზაციის გზით. პროგრამის როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითვის შედეგების ანალიზით და მათი შეფასებით და სწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე ნათლად იკვეთება უკუკავშირი, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. ეს ანალიზი და შეფასებები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ამგვარი გამოკითხვები გახდა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველი: 24 კრედიტი ელექტიური

სასწავლო კურსის დამატება - რაც პროგრამის აამაღლებს კურსდამთავრებულთა სწავლის დროს შეძენილ უნარებს. არჩევითი სასწავლო კურსების დამატებამ გამოიწვია: ახალი, შესაბამისი კვალიფიკაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვა პროგრამის განხორციელებაში (ბოლო 5 წლის განმავლობაში დაემატა 8 ახალი მოწვეული და 2 აკადემიური პერსონალი, პროგრამა დატოვა ორმა მოწვეულმა პერსონალმა), ძირითადი სასწავლო და პრაქტიკული კურსების ახლებულად სტრუქტურირება, შინაარსის მოდიფიცირება, ახალის სასწავლო კურსების დამატება, სამაგისტრო პროგრამის დაშვების წინაპირობებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, განხორციელდა ცვლილებები სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება, საჯარო დაცვასა და შეფასებაში. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში განახლდებული და გაუმჯობესებულია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. კერძოდ, გაიზარდა ხელმისაწვდომი ელექტრონული ბაზებისა და წიგნად ფონდში შესული ლიტერატურის რაოდენობა. დაინერგა სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტები, გაიზარდა კომპიუტერების რაოდენობა, განხორციელდა აგრეთვე ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების განახლება და დამატება.

თსსუ-ის ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას და შენარჩუნებას, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. უნივერსიტეტის ხარისიხის უზრუნველყოფის სამსახურის მიგამოკითხვა სემესტრის განმავლობაში ჩატარდება სისტემატურად SurveyMonkey-ს პლატფორმის გამოყენებით. საგანმანათლებლო პროგრამის, აკადემიური პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის და შეფასების მიზნით(რომელიც განხორციელდება 2პერმანენტულად);რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა შეფასების მექანიზმების/ფორმების შემუშავებას და სტუდენტთა შეფასების კვლევას; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფარმაციის ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება სასწავლო წელიწადში ერთხელ. კვლევის შედეგები და შეფასებები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და განთავსდება ვებ გვერდზე;

თსსუ -ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის N24 /4 დადგენილებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესის მიხედვით შემუშავდა სამაგისტრო პროგრამის „ფარმაციის მენეჯმენტის“ შეფასების გეგმა, რომელიც მოიცავს შეფასების მექანიზმების, ეტაპების, მეთოდებისა და პროცედურების ერთობლიობას, რითაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებია:

ა) სტუდენტთა აკადემიური მიღწევების, განთესვის, მობილობის, სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, პროგრამის დასრულების მაჩვენებლების ანალიზი;

ბ) საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის კვლევა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

გ) სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევასაგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;

ე) სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლების ანალიზი. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შედგება ოთხი ეტაპისგან:

ა) პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება,

ბ) კურიკულუმის ანალიზი,

გ) პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი,

დ) შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის განვითარებისათვის.

შედეგების შეფასების გეგმა არის თანმიმდევრული და გამჭვირვალე. დაფუძნებულია

შეფასების ადექვატურ ფორმებსა და მეთოდებზე, რომლებიც მოგვცემს „ფარმაციის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას.

სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ასახავს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. შეფასების ფორმები უზრუნველყოფსშეფასების ვალიდურობას, სანდოობას და გამჭვირვალობას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას სამიზნე ნიშნულებად გამოიყენება: სამაგისტრო ნაშრომების დაცვის ქულა + GPA, კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულა შეფასების შედეგების პროცენტული განაწილების მაჩვენებელი.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების პირველი შეფასება ამ წესის შესაბამისად განხორციელდება 2022 წლის 1 ივლისამდე.

პერიოდულად მოხდება სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი და შემდეგ სამიზნე ნიშნულთან დადარება.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებისთვის უკუკავშირის დაბრუნება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაანალიზებას, რეკომენდაციების გაცემას და სტუდენტისთვის ხელშეწყობას - გააცნობიეროს ძლიერი და სუსტი მხარეები, დაადგინოს საჭიროებები და უკეთ დაგეგმოს საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების გზები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ის ვებ. გვერდი: www.tsmu.edu;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- თსსუ-ის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტი“
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი
- თსსუ-ის მიერ პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (მემორანდუმები)
- თსსუ-ის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტის“ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები;
- თსსუ-ის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტის“ სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში
- სწავლის შედეგების შეფასების განხილვის დამადასტურებელი მასალა;
- სწავლის შედეგების შეფასების წესი - თსსუ -ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის N24 /4 გადაწყვეტილება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
აღწერა და შეფასება სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის შესახებ დებულებით: (დამტკიცებულია თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №24/5 დადგენილებით, შეტანილი ცვლილება დამტკიცებულია თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 მაისის №24/3 დადგენილებით); მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირს; სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვებისთვის

აუცილებელია საერთო სამაგისტრო გამოცდის (B ტესტი) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი გამოცდების ჩაბარება სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (50%+1-იანი ზღვარის გადალახვით). შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები ტარდება თსსუ-ის საგამოცდო ცენტრში, ტესტური სისტემით; გამოცდა სპეციალობაში ითვალისწინებს 3 პროფილური დისციპლინის ცოდნას. ეს დისციპლინებია: ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია და ეკონომიკის, კლინიკური ფარმაციის, ფარმაცევტული მარკეტინგისა და მენეჯმენტის საფუძვლების საკვანძო საკითხები; .

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ კომპლექსურ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატებს, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმატებით გადალახეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი საერთო სამაგისტრო გამოცდაში;

მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხდება წინასწარ გამოცხადებული მისაღები კონტიგენტის ფარგლებში, კონკურსის წესით;

მაგისტრატურაში მისაღებ კონკურსს აცხადებს თსსუ-ის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახური. კონკურსი მოიცავს:

ა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას;

ბ. გამოცდას სპეციალობასა და ინგლისურ ენაში.

საჯაროა პროგრამაზე მიღების პირობები, მიღებასთან დაკავშირებიული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე, ცნობარში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.tsmu.edu. პროგრამაზე მიღების ზემოაღნიშნული პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თსსუ-ის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტი“ დებულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ - თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №24/5 დადგენილება
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები)
თსსუ-ის ვებ გვერდი: www.tsmu.edu

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
აღწერა და შეფასება საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტი“ შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. „ფარმაციის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერით დადგენილ სტანდარტებს. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს მიენიჭება „ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, პროგრამაში შემავალი სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები (თითოეული სასწავლო კურსი) არის ლოგიკურად და თანამიმდევრულად დალაგებული, გათვალისწინებულია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, რომელიც არის ადეკვატური და მოცემულია სილაბუსებში. პროგრამა მოიცავს კურიკულუმის რუქას როგორც სწავლის შედეგების მიღწევადობის დადასტურებას. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად - ECTS. პროგრამის 120 კრედიტი მოიცავს: ძირითად სასწავლო კურსებს - 60 კრედიტი, პრაქტიკას - 18 კრედიტი, ელექტიურ სასწავლო კურსებს - 12 კრედიტი და კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი) - 30 კრედიტი. პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს ფარმაციის მენეჯმენტსა და მარკეტინგში, ფარმაკოეკონომიკაში, ფარმაცევტულ ზრუნვაში, ფარმაცევტული ინფორმაციის თანამედროვე სიახლეებისა და კვლევის ახალი მეთოდების სწავლებას. პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსები მაგისტრანტს საშუალებას მისცემს გაიღრმავოს ცოდნა მისი ინტერესების ფარგლებში. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რადგან სილაბუსებში გაწერილია თითოეული კომპონენტის შეფასების მექანიზმი და ინსტრუმენტები; სწავლის შედეგები მიღწევადია, რასაც ასაბუთებს დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები; ზოგადი /ტრანსფერული)კომპეტენციები ცოდნა და გაცნობიერება –აქვს ფარმაციის მენეჯმენტსა და მარკეტინგში, ფარმაკოეკონომიკაში, ფარმაცევტულ ზრუნვაში, ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება ფარმაციაში უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; დასკვნის უნარი – რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, რომელშიც განისაზღვრება ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობები; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

კომუნიკაციის უნარი – შეუძლია თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის შესახებ კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან, ასევე სპეციალისტებთან და მომხმარებელთან (პაციენტთან) ქართულ და უცხოურ ენებზე, შემოქმედებითად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.

სწავლის უნარი – სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;

ღირებულებები – ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება – სამაგისტრო პროგრამის კურსის გავლის შემდეგ ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრს ექნება: ღრმა და სისტემური ცოდნა ფარმაცევტული ეთიკის, ფარმაცევტული ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ; ღრმა ცოდნა ფარმაციის პოლიტიკის შესახებ. ღრმა და სისტემური ცოდნა FIP –ის რეკომენდაციების სათანადო (კარგი) ფარმაცევტული პრაქტიკების: GPP, GDP, GSP, GLP, GMP, GCP, GPVP-ის შესახებ. CAPA (ხარისხის პროცესების პრევენცია და კორექცია) სისტემის საშუალებით წარმოების, დისტრიბუციისა და ლოჯისტიკის ეტაპებზე სამკურნალო საშუალებების უსაფრთხოობის, ეფექტურობისა და ხარისხის გადაჭრის გზების შესახებ. დარგის წინაშე მდგარი გამოწვევების გადაწყვეტის მიმართულებების სიღმისეულად გაცნობიერების უნარი; ღრმა და სისტემური ცოდნა მენეჯმენტის მეთოდების, მართვის სისტემების, სტრატეგიის, მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ; წამლის რეკლამის შესახებ; ფარმაკოეკონომიკური კვლევის მეთოდების, ფარმაცევტული ბიზნესის ორგანიზაციის შესახებ; ფასწარმოქმნის სპეციფიკური სტრატეგიების, ფარმაცვეტული და სამედიცინო პროდუქციის ექსპერტიზის მართვის შესახებ; ფარმაცევტული ზრუნვის მართვისა და ზედამხედველობის შესახებ; ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ; ცოდნა ფარმაცევტული დაწესებულებებისა და ფარმაცევტული საქმიანობის ეფექტური მართვის, მენეჯმენტის უნივერსალური ფუნქციების: გუნდური მუშაობის, ლიდერობის, გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და განხორციელების პროცესის შესახებ; პროექტების მართვის, რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ. ახალი იდეების სიღმისეულად გაცნობიერების, ინფორმაციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი დახასიათების და სტატისტიკური დამუშავების შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი დამოუკიდებლად შეძლებს: ფარმაცევტული პროდუქციის მომარაგების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესების მართვას; ხარისხის სისტემის მართვას; მატერიალური, სასაქონლო, ფინანსური, ადამიანური რესურსებისა და კონფლიქტების ეფექტურ მართვას; ფარმაცევტული დაწესებულებების მართვას; კონკურენტუნარიანი მარკეტინგული საქმიანობის განხორციელებას; მარკეტინგული კვლევების ჩატარებას; ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრას და პროგნოზირებას; ბიზნეს-გეგმის შემუშავებას; სტრატეგიული დაგეგმვას–ფინანსური გათვლების წარმოებას. პროექტების ფინანსურ შეფასებას და მართვას; ფარმაკოეკონომიკური კვლევების ჩატარებას; ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად გამოყენებას; განსაზღვროს ოპერაციების მენეჯმენტის როლი და ინტეგრაცია მარკეტინგთან, ფინანსებთან, ადამიანურ რესურსებთან და სხვა ფუნქციებთან ბიზნესის სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.

რისკებისაბისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და მათზე რეაგირების ეფექტური მექანიზმების შემუშავებას; ფარმაცევტული ინფორმაციის, რაციონალური ფარმაკოთერაპიის შესახებ მაღალკვალიფიციური კონსულტაციის მართვას და ზედამხედველობას;

დასკვნის უნარი – ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი დამოუკიდებლად შეძლებს:

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის, ფარმაცევტული სტრუქტურების საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, რისკების შეფასების, ფარმაცევტულ ბაზრის კვლევებში მიღებული შედეგების მონაცემების კრიტიკულ ანალიზს, ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას; მარკეტინგული კვლევების შედეგების, ფარმაკოეკონომიკის ანალიზის უახლესი მეთოდების კრიტიკული შეფასებას, რაციონალური ფარმაკოთერაპიის ჩატარების მიზნით. დამოუკიდებლად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას.

კომუნიკაციის უნარი – ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრს ჩამოუყალიბდება უნარ–ჩვევევები: ფარმაციის მენეჯმენტის მიმართულებით ინდივიდუალური და ჯგუფში მუშაობის, ვერბალური და წერითი კომუნიკაციის, ახალ სიტუაციებში ადაპტირების; ფარმაციის პოლიტიკის, ხარისხის სისტემის, ფარმაკოზედამხედველობის, ფარმაკოეკონომიკური, მარკეტინგის მიმართულებით განხორციელებული კვლევის შედეგების შესახებ პროფესიულ საზოგადოებასთან და მომხმარებელთან ინფორმაციის მიწოდება და დისკუსია, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. შეძლებს: პროფესიულ თემებზე დისკუსიას და დებატებს, წამოჭრილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და/ან უცხოურ ენებზე; საკუთარი პოზიციის დაცვას; პროფესიული მასალის მოძიებას და პრეზენტაციის გაკეთებას კოლეგებისა და დაინტერესებული პირთათვის, ქართულ და/ან უცხოურ ენებზე.

სწავლის უნარი –

კურსდამთავრებულს შეუძლია: სწავლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელება; ფარმაციის პოლიტიკის, ფარმაკოეკონომიკის, ფარმაციის მენეჯმენტის, ფარმაციის მარკეტინგის, როგორც დინამიურად განვითარებადი სფეროების, გაღრმავებული შესწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და მისი სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვა და სწავლის უნარი.

ღირებულებები –

კურსდამთავრებულს შეუძლია: ფარმაცევტული საქმიანობის ეფექტური მენეჯმენტის პროცესში სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა, პროფესიული თანმონაწილეობა და პასუხიმგებლობა რაციონალურ ფარმაკოთერაპიაზე.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:

1. დისკუსია/ დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

3. გონებრივი იერიში (brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა

მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან: პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა; დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე); გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან; კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით; უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. შემთხვევის ანალიზი– (case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, ფარმაციის სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული პაციენტის მიერ წამლის მიღებისა და გვერდითი მოვლენების განხილვა და სხვა.

6. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროუ–ლად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროფესორ– მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორიცაა, მაგალითად, ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორიცაა, მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

7. ახსნა – განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული მაგალითის ფარგლებში.

8. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

9. პრაქტიკული მეთოდები – სწავლების პროცესში, სტუდენტი დამოუკიდებლად ახორციელებს ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიებას და მის დამუშავებას.

10. ვერბალური მეთოდი – ახალი მასალის გადაცემა ზეპირად მულტიმედიური მასალის გამოყენებით, ობიექტების, მოვლენების, პროცესების, სქემების ანიმაციური ჩვენებით. სწავლის პროცესში გამოიყენება: ინტერაქტიული ტექნოლოგიები, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრობლემური ლექცია – მასალის გადაცემა რეჟიმში „მონოლოგი–დიალოგი“და სხვა.

11. წერითი მუშაობის მეთოდი –სწავლების პროცესში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გააკეთონ ჩანაწერები ახალი მასალის, შესრულებული სამუშაოს, აგრეთვე კონკრეტული სიტუაციური ამოცანების გადაჭრის გზების შესახებ.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული პირი: თსსუ-ის ხარისხის სამსახური, სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახური, ფარმაციის ფაკულტეტი, აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ აკადემიური პროცესის ორგანიზებას და ფინანსურ მდგრადობას.

- თსსუ უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის „ფარმაციის მენეჯმენტის“ შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. საჯაროა ინფორმაცია პროგრამაზე

დაშვების წინაპირობებისა და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია მასში ცვლილებების შეტანის შესახებ, განთავსდება უნივერსიტეტის საიტზე (www.tsmu.edu) პროგრამის აკრედიტაციისთანავე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები მტკიცებულებები/ინდიკატორები უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია თსსუ-ის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტი“ სასწავლო გეგმა სილაბუსები პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ინტერვიუს შედეგები; თსსუ-ის ვებ.გვერდი www.tsmu.edu;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
აღწერა და შეფასება სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სპეციალური დისციპლინების შესწავლას. განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, დაემატა ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსები, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული

მიზნისა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურით (სამაგისტრო განათლების ეტაპით) გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის, სხვადასხვა სწავლა/სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი) შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარს და მისაღწევ სწავლის შედეგებს და ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრის მომზადების თანამედროვე მოთხოვნებს. პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები აქცენტირებულია ფარმაციის თანამედროვე პრინციპებზე; სასწავლო კურსები სტრუქტურირებულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, რაც ასახულია სილაბუსებში და ცნობილია მაგიტრანტებისათვის.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც განსხვავებულია სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და დეტალურადაღწერილია სილაბუსებში.

სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სოციალური ფარმაციის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის, ფარმაკოეკონომიკის, ფარმაცევტული ზრუნვის, ფარმაცევტული ბიზნესის აქტუალურ მიღწევებზე, სიახლეებზე, თანამედროვე კვლევის მეთოდებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ფარმაციის დარგის სხვადასხვა მიმართულების თანამედროვე სამეცნიერო კვლევებზე, გამოცდილებასა და მიღწევებზე.

სასწავლო მასალის სამიზნე ნიშნულებია: საკმარისობა; თანამედროვეობა; ხელმისაწვდომობა.

პროგრამის ხელმძღვანელები და შესაბამისი სასწავლო კურსების განმხორციელებლები მაგისტრანტებს აწვდიან რელევანტურ სასწავლო ლიტერატურას ქართულ ენაზე (დამატებით ლიტერატურას ქართულ და უცხოურ ენაზე). შესაბამისი ლიტერატურა მოიპოვება თსსუ-ის ბიბლიოთეკაში და სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტის ბაზაზე; გარდა ამისა, შესაძლებელია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო მასალის გამოყენება ადგილზე. თსსუ–ის საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს „ფარმაციის მენეჯმენტის“ მაგისტრანტებისთვის საჭირო ბეჭდურ და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს; ელექტრონული სალექციო მასალით და „ჰენდაუთებით“ მაგისტრანტს უზრუნველყოფს ასევეშესაბამისი სასწავლო კურსის ან/და პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი.

თსსუ-ის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, უიოხელს უწყობსმაგისტრანტებს სწავლასა და საინფორმაციო ძიებას კვლევითი მუშაობისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები;
- თსსუ-ის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტი“
- სასწავლო გეგმა;
- გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- შემდგომ საფფეხურზე სწავლის გაგრძელებისმაჩვენებელი;
- კურსამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- კურიკულუმის რუქა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები

○ თსსუ-ის ვებ გვერდი: www.tsmu.edu ○ თსსუ-ის ბიბლიოთეკის ფონდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სამაგისტრო პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტი“, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს მაგისტრანტის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავებას. ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი დამოუკიდებლად შეძლებს: ფარმაცევტული პროდუქციის მომარაგების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესების მართვას; ფარმაცევტული ხარისხის სისტემის მართვას; მატერიალური, სასაქონლო, ფინანსური, ადამიანური რესურსებისა და კონფლიქტების ეფექტურ მართვას; ფარმაცევტული დაწესებულებების მართვას; კონკურენტუნარიანი მარკეტინგული საქმიანობის განხორციელებას; მარკეტინგული კვლევების ჩატარებას; ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრას და პროგნოზირებას; ბიზნეს-გეგმის შემუშავებას; სტრატეგიული დაგეგმვას–ფინანსური გათვლების წარმოებას. ფარმაკოეკონომიკური კვლევების ჩატარებას; ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად გამოყენებას; რაციონალური ფარმაკოთერაპიის შესახებ მაღალკვალიფიციური კონსულტაციის მართვას და ზედამხედველობას; ფარმაცევტული და სამედიცინო პროდუქციის ექსპერტიზის ჩატარების მართვას და ზედამხედველობას; ფარმაცევტული პროცესების ორგანიზების, დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების ანალიზის პროცესში საქმიანი კომუნიკაციას კოლეგასთან, ექიმთან, საზოგადოებასთან. კეთილსინდისიერების, ეთიკური კოდექსისა და დეონტოლოგიური ნორმების, ასევე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით. პრაქტიკის პროცესის ეფექტურად მიმდინარეობისთვის კურსის ხელმძღვანელსა (ლექტორი) და პრაქტიკის ხელმძღვანელს (პრაქტიკის ადგილზე პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი) შორის იგეგმება პრაქტიკის დასაწყისში საორიენტაციო შეხვედრები პრაქტიკის მიზნებისა და გეგმის გაცნობისათვის. ასევე პერიოდული პირისპირ ან ონლაინ სამუშაო შეხვედრები პრაქტიკის მიმდინარეობისას, პრაქტიკის პროცესის მონიტორინგის ან შუალედური ანალიზისა და პრაქტიკის დასასრულს შემაჯამებელი განხილვების მიზნით.

პრაქტიკის დაგეგმვისას, პირველ რიგში, განისაზღვრა პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც რელევანტურია პროგრამის მიზნებსა და შესაბამის სფეროსთან. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი (18 კრედიტი) ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. გადანაწილებული სამ სემესტრში: აფთიაქში და საწარმოში პრაქტიკები და სტაციონარში. პრაქტიკები ხორციელდება კომპანია „პსპ“ და შპს „ავერსის“, შპს „ნეოფარმის“ ბაზებზე, შპს ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საფუძველზე, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტების რაოდენობა, ასევე პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა. პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტთა პრაქტიკის ადგილებზე გადანაწილების ისეთი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკის ფორმატს, ფორმატის შესაბამისად სტუდენტთა/სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობას, პრაქტიკის თემატიკას, პრაქტიკული დავალების სპეციფიკას, პარტნიორი ორგანიზაციების ადამიანურ, მატერიალურ რესურსებსა და სხვ. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პრაქტიკის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას, რომლის მიზანია, განისაზღვროს პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები, დაგეგმვისას და განხორციელებისას დაშვებული ხარვეზები, გამოვლინდეს მიზნის მიღწევის სხვა, ალტერნატიული საშუალებები და სტრატეგიები, რაც პროცესის შემდგომ განვითარებასა და დახვეწას შეუწყობს ხელს. პრაქტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს უნივერსიტეტის მხრიდან სასწავლო კურსის ხელმძღვანელი - ლექტორი და პრაქტიკის ადგილზე პრაქტიკის ხელმძღვანელი - ორგანიზაციის წარმომადგენელი. პრაქტიკის კომპონენტში სტუდენტის შეფასებაში მონაწილეობს როგორც ლექტორი, ასევე ორგანიზაციის წარმომადგენელი შეფასების ურთიერთშეთანხმებული ინსტრუმენტების საშუალებით. პრაქტიკის ბოლოს სტუდენტი წარმოადგენს სრულად გაფორმებულ დღიურს დაწესებულების ბეჭდით, დაწესებულების ხელმძღვანელისა და/ან პრაქტიკის ზედამხედველის ხელმოწერით. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკა უზრუნველყოფს თანმიმდევრულ გადასვლას პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკამდე. პასიური პრაქტიკის დროს სტუდენტი უმეტესწილად პრაქტიკის ადგილზე პროცესების დამკვირვებლის როლშია ან ასისტირებას უწევს პრაქტიკის ხელმძღვანელს. აქტიური პრაქტიკის დროს კი, თავად გეგმავს და ახორციელებს პრაქტიკულ აქტივოებებს პრაქტიკის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და მისი მეთვალყურეობით. სამაგისტრო საფეხურზე სწავლების მეთოდოლოგია ორიენტირებულია კვლევაზე, დასკვნითი სამაგისრტო ნაშრომი სტუდენტის მიერ პროგრამაზე სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნის და შესაბამისი კვლევის დიზაინის გათვალისწინებით, პრაქტიკული უნარების შემაჯამებელი მტკიცებულებაა. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას წინ უძღვის კვლევითი უნარების განმავითარებელი თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსები, რომლებიც დარგის შესაბამისი კვლევის მეთოდების შესწავლასა და კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში ეხმარება სტუდენტებს. სტუდენტის კვლევით პროექტებში ჩართვა და თანამონაწილეობა ხორციელდება დარგის კვალიფიციური პირის ხელმძღვანელობით, რომლის მიერაც ხდება მაგისტრანტის საქმიანობის შეფასება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო ნაშრომები

○ აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, CV-ები და ხელშეკრულებების ნიმუშები. სამაგისტრო ნაშრომების ჩამონათვალი და ნაშრომების ელექტრონული ვერსიები 2013-2018წწ. ○ ხელშეკრულებები და მემორანდუმები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს, კურსის შინაარს და უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას. სამაგისტრო პროგრამით სწავლება-სწავლის მეთოდები დაფუძნებულია მაგისტრანტზე ორიენტირებულ მეთოდებზე და ითვალისწინებს მის ინტერაქტიულ ჩართვას სასწავლო პროცესში. სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებას. მაგისტრანტის აკადემიური მზადება ითვალისწინებს: ლექციებს, სემინარულ მეცადინეობებს, ასევე, მუშაობას პროფილური საკვლევი თემის შესახებ: ლიტერატურის მოძიებას და დამუშავებას, საინფორმაციო წყაროების რეფერირებას, კვლევით მუშაობაში ჩართვას, ვერბალურ ან პოსტერულ პრეზენტაციას, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობას. თეორიული მეცადინეობები მიმდინარეობს პრაქტიკულ საქმიანობასთან კოორდინირებულად. პროგრამაში გათვალისწინებული კომპონენტების თანამიმდევრობა აუცილებელია სასწავლო პროგრამის სრულყოფილად შესრულებისა და სწავლისშედეგის მიღებისთვის. პროგრამის თითოეული კომპონენტი დაფუძნებულია მაგისტრანტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნასა და უნარებზე. პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტები ეტაპობრივად ხორციელდება-ყოველი წინა ეტაპი მომდევნოს წინაპირობაა და ეფუძნება

მაგისტრანტის მიერ მიღებულ ცოდნას. პროგრამის კურიკულუმის განხორციელებისას დაცული იქნება პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანამიმდევრობა, პრერეკვიზიტული დისციპლინები პარალელურ რეჟიმში არ ისწავლება და ყოველი პრერეკვიზიტული დისციპლინა შემდგომზე დაშვების ლოგიკურ წინაპირობას წარმოადგენს. მაგისტრანტის პრაქტიკული საქმიანობა გულისხმობს - მაგისტრანტის აქტიური ჩართულობას პრაქტიკულ მუშაობაში აფთიაქში, საწარმოსა და კლინიკაში, სადაც პრაქტიკული უნარების დემონსტრირება ხორციელდება პედაგოგი/ექიმის, ხოლო აფთიაქში კი მენეჯერის მიერ. გარდა ამისა, მიმდინარეობს სალექციო მასალის ძირითადი საკვანძო თემების ჯგუფური განხილვა. მაგისტრატურის კვლევითი კომპონენტი გულისხმობს - მაგისტრანტის მიერ საკვლევი მასალის შეგროვებას, საჭირო ინფორმაციის მოძიებას და მის სწორ ინტერპრეტაციას, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს, შეფასებას, შედეგების გაანალიზებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას, მტკიცებულებების გამოყენებას. მოძიებული და დამუშავებული ლიტერატურის საფუძველზე რეფერატების მომზადება / პრეზენტაცია გამოავლენს მაგისტრანტთა აკადემიურ უნარებს, რაც სამაგისტრო პროგრამის დაძლევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. სათანადო უნარ-ჩვევების შეძენა-გაღრმავებაში მათ დაეხმარება და ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სასწავლო კურსები. ამგვარად, კვლევითი კომპონენტის შესრულების შედეგად მაგისტრანტს: გამოუმუშავდება სამეცნიერო კვლევის ჩატარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და კომპეტენცია (სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება, ჩართულობა ჯგუფურ და დამოუკიდებელ კვლევებში, შედეგების ანალიზი და პრეზენტაცია). მაგისტრანტთა დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს: სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯულ დროს და შრომას (სამუშაო დრო), რომელიც ხმარდება ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-დამუშავებას, პედაგოგის, ან საბაზისო დაწესებულების ექიმის ან მენეჯერის ზედამხედველობის ქვეშ, მენეჯერული საქმიანობის ანფარმაცევტული ზრუნვის მართვისა და ზედამხედველობის განხორციელებას, რაც საბოლოოდ დაეხმარება მაგისტრანტს დარგობრივი ღირებულებების გაცნობიერებასა და შეძენაში. პროგრამის ხელმძღვანელის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეგიდით ტარდება მონიტორინგი შეფასების სხვადასხვა შიდა და გარე მეთოდის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს სწავლების და სწავლის ხარისხის ამაღლებას. ამგვარად, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თსსუ-ის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტი“ ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება - თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 9 მარტის 23/3 დადგენილება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების მიღწევების შეფასება ხორციელდება შესაბამისი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და მაგისტრანტის მიღწევების შეფასება არის გამჭირვალე და განხორციელდება თსსუ-ში მოქმედი კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 5.01.2007 თანახმად. სამაგისტრო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და მაგისტრანტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებსში მაგისტრანტი კრედიტს მოიპოვებს შესრულებული სამუშაოს დადებითი შეფასების შემთხვევაში. შეფასების კრიტერიუმები მოიცავს: ○ შუალედურ შეფასებებს 60 ქულის ფარგლებში: სტუდენტის აკადემიური აქტივობას, რეფერატს/პრეზენტაციას, ათვისებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, დღიურების გაფორმებას, კოლოკვიუმს; ○ დასკვნითი გამოცდის შეფასებას 40 ქულის ფარგლებში. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება მაგისტრანტი, რომლის შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა შეადგენს 51-ს. შუალედური შეფასებების კომპონენტები/კრიტერიუმები წარმოდგენილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და განსხვავდება ერთმანეთისგან, საგნის სპეციფიკურობის გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია სილაბუსებში წარმოდგენილი შუალედური შეფასებების პარამეტრების ცვლილება სასწავლო კურსების მიხედვით; შეფასების მეთოდების ეფექტურობის ანალიზი, ყველა პროგრამის მაგისტრანტისთვის, ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით და გულისხმობს ამ უკანასკნელთა შუალედური, საგამოცდო და საბოლოო აკადემიური შედეგების რაოდენობრივ და შინაარსობრივ შეფასებას. მაგისტრანტის ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოყენებულია როგორც ზეპირი, ასევე წერითი, ტესტური და კომბინირებული გამოცდები, რეფერატები და პრეზენტაციები, სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა. შეფასების კრიტერიუმები მაგისტრანტებისთვის ცნობილი და ხელმისაწვდომია საგნის სწავლების დაწყებისთანავე. მაგისტრანტთა მიღწევების შეფასება ხორციელდება საჯაროდ, 2018 წლიდან დაინერგა შეფასების ელექტრონული სისტემა. უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება თსსუ-ში არსებულ შიდასაუნივერსიტეტო ნორმატივის შესაბამისად.

დებულებაში "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ" შევიდა ცვლილება თსსუ-ისაკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის №24/4 დადგენილებით. შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი.

სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის/სკოლის წარმომადგენლები, პროფილური სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელები, რეცენზენტები და შესაბამისი დარგის/სპეციალობის მეცნიერები. კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება სულ მცირე 5 წევრით. სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის წევთა არანაკლებ 2/3. 10.

სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის შემდეგ ფაკულტეტის/სკოლის საბჭო გამოყოფს 2 რეცენზენტს. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი და/ან სამეცნიერო კომპონენტის შესრულებაში ჩართული პირი.

რეცენზენტებმა წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ სამაგისტრო ნაშრომის სარეცენზიოდ მიღებიდან არა უგვიანეს ორი კვირის ვადაში. დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს, რამდენად აკმაყოფილებს წარმოდგენილი ნაშრომიმისდამი წაყენებულ მოთხოვნებს, დადასტურებული უნდა იყოს, რომ დეკლარირებული შედეგები არ წარმოადგენს ადრე დაცული რომელიმე ნაშრომის შედეგების გამეორებას და განისაზღვროს ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების მიზანშეწონილება.

- სამაგისტრო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვება შესაძლებელია ერთი რეცენზენტის დადებითი დასკვნის შემთხვევაში.

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:

- სამაგისტრო ნაშრომის მოხსენებას (15-20 წთ),
- დისკუსიას,
- რეცენზენტების მიერ ნაშრომის შეფასებას,
- საბოლოო შეფასებას.

ორივე რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის ან საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის 51 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლისსაბჭოს, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს თანხმობით.

ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის შეფასების სისტემის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე.

პროგრამის მიერ გაანალიზებულია სტუდენტთა მოსწრება დისციპლინებში მათი საბოლოო შეფასების მიხედვით და, ასევე, გამოცდაზე მიღებული შეფასების შესაბამისად . აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზმა ცხადყო შემდეგი:

სტუდენტების მიღწევების შეფასებებში ლიდერი პოზიცია უკავია B შეფასებას, რაც დადებით ტენდეციად შეიძლება ჩაითვალოს;

გამოიკვეთა შუალედურ შეფასებებში დასწრების ქულის ამოღების რეკომენდებულობა.

- ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის შეფასების სისტემის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი - თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 17 სექტემბრის 24/1 დადგენილება;
- თსსუ-ის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტი";
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თსსუ-ის ვებ გვერდი: www.tsmu.edu.

რეკომენდაციები:

მაგისტრატურის დებულების თანახმად (თსსუ-ს აკად.საბჭოს2012 წლის 7 მაისის #245 დადგენილება) ფარმაციიის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში იკითხება პუნქტი 17.2.9. - საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის 51 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს თანხმობით. აღნიშნული არ შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, ვინაიდანს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებაში №3 2007 წლის 5 იანვარი ქ. თბილისი „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ნათქვამია რომ, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
აღწერა და შეფასება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების მექანიზმებს. სტუდენტის სტატუსი განისაზღვრება დადგენილი წესით პირის უნივერსიტეტში ჩარიცხვის მომენტიდან და მოქმედებს თსსუ-ის წესდებით, განსაზღვრულ შემთხვევებში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე უნივერსიტეტთან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე. დაწესებულების პერსონალი, მათ შორის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პირები, უზრუნველყოფენ მაგისტრანტებისთვის აუცილებელი ინფორმაციის დროულ მიწოდებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. სტუდენტი იღებს დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მაგისტრანტის სწავლებას ინდივიდური რეჟიმით, სასწავლო პროგრამის განხორციელების გამავლობაში გაუწევს მას დახმარებას კონსულტაციების სახით. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების თაობაზე სტუდენტს სასარგებლო კონსულტაციას უტარებენ, აგრეთვე, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური. ისინი მუდმივად არიან ინფორმირებულები სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, ღონისძიებების, კონფერენციების შესახებ, სადაც აქვთ მათ მონაწილეობის შესაძლებლობა. სტუდენტებმა „ფარმაციის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს 3 ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. მათი თანაავტორობით გამოქვეყნებულია 11 სამეცნიერო ნაშრომი. მაგისტრანტის ცოდნის გაღრმავების ერთ-ერთ ფორმად გამოყენებულ იქნება ელექტიური სასწავლო კურსებიც. პრაქტიკის გავლის დროს მაგისტრები არიან უშუალო კონტაქტში დამსაქმებლებთან, რითაც უზრუნველყოფილია მათი სათანადო კონსულტაცია დასაქმებასთან მიმართებაში, და, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს უპირობო მხარდაჭერას მათი კარიერული განვითარებისთვის. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციები რეგულირდება თსსუ–ის რექტორის აპარატის დებულებით. ამ სამსახურის პრიორიტეტული მიმართულებაა საკარიერო სერვისის განვითარება, სტაჟირების პროგრამების განხორციელება და პოტენციურ დამსაქმებლებელ კომპანიებთან ურთიერთობა სტუდენტების დასაქმების და პროფესიული განვითარების მიზნით. სტუდენტებთან და კურდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, ფაკულტეტის დეკანებთან/პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად, მუშაობს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მონაცემების ბაზის სრულყოფასა და მათი კარიერული გადევნებისა და უკუკავშირის მექანიზმების სრულყოფაზე. დამატებით, პროგრამა ახორციელებს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებს, რის საუკეთესო მაგალითსაც წარმოადგენს წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლებიც არიან კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებლები საქართველოში. აღნიშნულ კომპანიებს

აქვთ სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის გაზრდის სხვადასხვა ფორმები, იმისათვის რომ სტუდენტმა აირჩიოს მათი კომპანია სტაჟირების ან მომავალი დასაქმებისათვის. მათ შორის აღსანიშნავია:

- სწავლის საფასურის მთლიანად ან ნაწილობრივ გადახდა მათთან დასაქმებული სტუდენტებისათვის;
- სტუდენტისათვის შეთავაზებული სტაჟირებისა და დასაქმების სხვადასხვა ფორმა ანაზღაურებით, მათთვის მოხერხებული განრიგით;

დამსაქმებელთა შეხვედრები სტუდენტებთან წამახალისებელი საჩუქრებით დღესასწაულებზე.

თსსუ-ის ასევე მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას უნივერსიტეტში მოქმედ და ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროექტებსა და აქტივობებში. ამ მიზნით თანამშრომლობს სტუდენტებთან, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან, სტუდენტური პროექტების და ინიციატივების ხელშეწყობისა და კოორდინირების კუთხით;

მხარს უჭერს პრიორიტეტულ სპორტულ, სახელოვნებო და შემეცნებით მიმართულებებით სტუდენტურ ინიციატივებს, ღონისძიებებს;

უკეთებს ორგანიზებას სტუდენტებისათვის შემეცნებით ღონისძიებებს, ღია ლექციებს და საჯარო დისკუსიებს, საზაფხულო და ზამთრის სკოლებს;

უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას ელექტრონული ფოსტით სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების, გაცვლითი პროგრამებისა და უნივერსიტეტისა თუ სხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების (საჯარო ლექციები, ტრენინგები, სეზონური სკოლები, კონფერენციები და ა.შ.) შესახებ;

თსსუ თავისი ბიუჯეტის ფარგლებში სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას სტუდენტებს პროექტების განხორციელებაში ან/და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისათვის. თსსუ თანამშრომლობს პროექტების განმხილველ საბჭოებთან დადგენილი წესით (იხ. სტუდენტური სერვისები მიწოდების და ანგარიშგების წესი).

თსსუ-ში სტუდენტურ აქტივობებს ახორციელებს სხვადასხვა ადმინისტრაციული და აკადემიური ერთეული, სტუდენტური თვითმმართველობა, ცალკეული სტუდენტური ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები.

სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები ასახულია თსსუ–ის ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებში – წესდებასა და შინაგანაწესში, თსსუ–ის ეთიკის კოდექსში, თვითმმართველობის დებულებაში და სხვა. სტუდენტის ძირითადი უფლებები, ისევე როგორც მოვალეობები, მათ შორის – ფინანსურიც, გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის.

- თსსუ–ის ვებ–გვერდზე განთავსებულია ყველა ის დოკუმენტი, რომელიც სტუდენტთა უფლება–მოვალეობებს არეგულირებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომის ფორმების გამოყენების, გაცემისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი;
- თსსუ-სა სტუდენტებს (სამაგისტრო პროგრამის) შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.

○ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას შესაბამისი მიმართულებით, რომლის შედეგებიც აისახება სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი პროფილის დოქტორი ან მაგისტრი, დარგში მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილებით, ხოლო თანახელმძღვანელი – მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი. უსდ-ს შემუშავებული აქვს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია; სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსის გათვალისწინებით, წინასწარ დგება სავარაუდო სამაგიტრო ნაშრომების თემების ჩამონათვალი შესაბამისი ხელმძღვანელის მითითებით, სია არის ღია და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებსთვის, რომლებიც ირჩევენ ერთს ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან. სამაგისტრო ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელ(-ებ)ს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება მაგისტრანტი, რომელსაც სრული მოცულობით აქვს შესრულებული სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტი. მაგისტრანტი ვალდებულია სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს სამაგისტრო ნაშრომი და წარდგეს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე. ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს მაგისტრანთან. კონსულტაციის სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, თეზისის/კვლევითი ნაშრომის წერის პროცესი. სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა. პირველ ეტაპზე ხორციელდება ნაშრომის ლიტერატური მიმოხილვითი ნაწილის წარმოდგენა შიდა განხილვაზე. განხილვა ხდება სამაგისტრო პროგრამის შიგნით შექმნილი კომისიის წინაშე და ღია კენჭისყით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მაგისტრანტი იწყებს კვლევითი კომპონენტის განხორციელებას. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით რექტორის მიერ დამტკიცებულ სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიაზე.ნაშრომს უნდა დაერთოს მაგისტრანტის პუბლიკაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელ(-ებ)ის შეფასება.

სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის შემდეგ ფაკულტეტის/სკოლის საბჭო გამოყოფს 2 რეცენზენტს. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი და/ან სამეცნიერო კომპონენტის შესრულებაში ჩართული პირი. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს: სამაგისტრო ნაშრომის მოხსენებას (15-20 წთ), დისკუსიას, რეცენზენტების მიერ ნაშრომის შეფასებას, საბოლოო შეფასებას (26.02.2019. №24/4).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, CV-ები და ხელშეკრულებების ნიმუშები. ○ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია - თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 05 თებერვლის 23/1 დადგენილება. ○ დებულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ - თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისი №24/5 დადგენილება; ○ დადგენილება „დებულებაში თსსუ-ის მაგისტრატურის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე ○ ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი ○ კონსულტაციების განრიგი ○ სამაგისტრო თემატიკის და ხელმძღვანელების დამტკიცების დამადასტურებელი ფაკულტეტის საბჭოს ოქმები ○ ბრძანებები სამაგისტრო თემების დაცვის შესახებ
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები – უნივერსიტეტის აკადემიური პესონალი და მოწვეული პედაგოგები, ფლობენ სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც განისაზღვრება კვლევითი აქტივობით, შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, პუბლიკაციებით და დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომთა სიით. აკადემიური და მოწვეული პედაგოგების შემთხვევაში – საგანმანათლებლო პროგრამაში მათი ჩართვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი უახლესი აკადემიური ცოდნა და კომპეტენცია პრაქტიკული გამოცდილება მოცემულ სპეციალობაში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ავტორობით არსებობს 5 სახელმძღვანელო. დამუშავების პროცესშია კიდევ 3-ის გამოცემა. პროგრამის წარმატებით განხორციელების თვალსაზრისით, აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ 2014 წლიდან ამოქმედდა რამდენიმე სასწავლო მოდული მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის ფორმატში. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები, გაცვლითი პროგრამები, სკოლა-სემინარები, ტრენინგები) მონაწილეობის თვალსაზრისით და, შეძლებისდაგვარად, ორგანიზაციულად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ეგიდით ამ ტიპის ღონისძიებების ჩატარებას. სამაგისტრო პროგრამის „ფარმაციის მენჯმენტის“ განსახორციელებლად ჩართული პერსონალთა საერთო რაოდენობა 25. ამათგან 10 აკადემიური (1 პროფესორი, 4 ასოცირებული, 5 ასისტენტ-პროფესორი) და 15 მოწვეული მედაგოგი. აკადემიური და

მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. მიმდინარე პერიოდისთვის პირველ და მეორე კურსზე ირიცხება 16 სტუდენტი. თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პედაგოგების მიმდინარე სტუდენტების რაოდენობასთან ასეთია 10/16 და 15/16. აკადემიური და მოწვეული პედაგოგების თანაფარდობა ასეთი თანაფარდობა 10/15 და მათი საათობრივი დატვირთვა იძლევა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების წარმართვის, პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობისა და სტუდენტების კონსულტირების განხორციელების საშუალებას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პედაგოგების დენადობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში დაემატა 8 ახალი მოწვეული და 2 აკადემიური პერსონალი, პროგრამა დატოვა ორმა მოწვეულმა პედაგოგმა) განაპირობებს პროგრამის მდგრადობას. მაგისტრანტების რაოდენობა შეესაბამება მათი ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვას. მიმდინარე პერიოდისთვის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და მაგისტრანტების თანაფარდობა ასეთია: 8/10. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში -10/37. სამაგისტრო პროგრამას „ფარმაციის მენეჯმენტი“ ხელმძღვანელებს: თსსუ-ის ემერიტუსი პროფესორი ვაჟა ერიაშვილს და ასისტენტ- პროფესორ ნანა (ნანული) დუღაშვილს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა დაგამოცდილება. ჩართულები არიან პროგრამის განხორცილებასა და შეფასება განვითარებისა და სტუდენტთა კონსულტირების პროცესში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროგრამას ყავს ერთი სპეციალისტი. ამავე დროს შექმნილია კანცლერის აპარატის მონიტორინგის ჯგუფები, რომლითაც კონტროლდება როგორც აკადემიური, ისე დამხმარე პერსონალის სამუშაო განრიგის შესრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პერსონალის პირადი საქმეები თსსუ-ის სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი - თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 მარტის 23/3 დადგენილება; თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის 24/5 გადაწყვეტილება თსსუ-ის წესდება თსსუ-ის შინაგანაწესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია - თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 05 თებერვლის 23/1 დადგენილება პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია ნაშრომის სათაურის,დაცვის წლის,ხელმძღვანელის,ქულის მითითებით
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 2019 წლიდან პერსონალის შეფასების პროცესს ელექტრონული ფორმით (SurveyMonkey) ერთობლივად განახორციელებს თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი. (წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N 23/3 დადგენილება). 2019 წლიდან ასევე განხორციელდება აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის მაჩვენებლის განსაზღვრა (აკად. საბჭოს 2018წლის 21 მარტის 24.7 დადგენილება). პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება და მიღებული შედეგების ანალიზი, მნიშვნელოვნად დაეხმარება პროგრამას შემდგომი განვითარებისთვის. პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს პედაგოგთა გადამზადების ცენტრი, სადაც რეგულარულად ტარდება აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების ტრენინგები „სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში“, რომელიც გაიარა „ფარამაციის მენეჯმენტის“ პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა სრულად და მოწვეული მასწავლებლების ნაწილმა (პროცესი გრძელდება). უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას საერთაშორისო ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობით. (კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები, გაცვლითი პროგრამები, სკოლა-სემინარები, ტრენინგები) და, შეძლებისდაგვარად, ორგანიზაციულად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ეგიდით ამ ტიპის ღონისძიებების ჩატარებას. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს მონაწილეობა აქვს მიღებული: ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. გრანტი/ პროექტი: 1.Promotion of rational use of anti TB medicines in Georgia (2011-2012) 2. ფარისებრი ჯირკვლის კვლევა ორსულებში (2016-2017) **ERASMUS+**აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში სალექციო კურსის ჩატარება ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ტალინის ჯანდაცვის სკოლა, ტალინი, ესტონეთი,
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები

○ დებულება - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ- თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N 23/3 დადგენილება ○ თსსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი - თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018წლის 21 მარტის 24.7 დადგენილება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
აღწერა და შეფასება • უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას; • დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა; • დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა; • დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. თსსუ აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა კომპონენტით: საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და თვისობრივად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს გააჩნია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დამხმარე და საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართები; პროგრამა განხორციელდება თსსუ–ის სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტში და იმ პროფილურ ორგანიზაციებში, რომლებიც ფლობენ პროგრამის განსახორციელებლად სათანადო რესურსს. ფარმაცევტული კომპანიების „პსპ“ ფარმას, შპს „ნეოფარმის“ და შპს

„ავერსის“ აფთიაქებსა და საწარმოებში და შპს ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საფუძველზე. პროგრამა საჭიროებისამებრ უზრუნველყოფილია აპარატურით, პერსონალური კომპიუტერებით, სასწავლო მაგიდებით, და ა.შ., ყოველივე ეს განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. 2 პრინტერი და 2 პულტიფუნქციური პრინტერი, 3 პერსონალური კომპიუტერი, 3 ლეპტოპი, 3 პროექტორი, 5 სასწავლო ოთახი.

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს მაგისტრანტების მიერ სასწავლო პროცესის შეუფერხებელ დაძლევას.

თსსუ–ის ბიბლიოთეკა ორიენტირებულია სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ინფორმაციულ ხელშწყობასა და უზრუნველყოფაზე. ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები და სერვისები და მათი განვითარების ხედვა ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას. ბიბლიოთეკის საქმიანობა რეგულირდება „ბიბლიოთეკის დებულებით”.

სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა:

თსსუ-ს შეძენილი აქვს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (WHO) პროგრამის Research4life ელექტრონული ბაზების (HINARI, AGORA, OARE და ARDI) მოხმარების ლიცენზია .

რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის გრანტით უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა საგამომცემლო კორპორაცია Elsevier-ის საძიებო ბაზაზე.

ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება ავტომატიზირებული საბიბლიოთეკო სისტემის Koha-ს გამოყენება ელექტრონული კატალოგის სამართავად.

ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიებისა და შეხვედრის ჩასატარებლად. სისტემატურად ეწყობა აკადემიური, შემეცნებითი, საინფორმაციო და სხვა ხასიათის ლექცია-სემინარები სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა თუ მოწვეული უცხოელი ლექტორების მონაწილეობით.

თსსუ ბიბლიოთეკაში და სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტის ბაზაზე განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის, ელექტრონულ მატარებელზე არსებული), სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომის უახლესი პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც მათ აძლევთ საშუალებას გაეცნონ ფარმაციის დარგის სიახლეებს ფარმაცევტული მენეჯმენტისა და მარკეტინგის, სოციალური ფარმაციის, ფარმაცევტთა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების, ფარმაკოეკონომიკის, ფარმაცევტული ზრუნვის მიმართულებებით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტი
- საინვენტარო აღწერილობა 2018 1 ოქტომბრის მდგომარეობით

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
აღწერა და შეფასება სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია უდს-მიერ პროგრამის მხარდაჭერა. პროგრამის სრული ღირებულება შეადგენს 7000 ლარს. პროგრამის ძირითადი ფინანსური მახასიათებლებია: პერსონალის შრომის ანაზღაურება (პროგრამის ხელმძღვანელი, სპეციალისტი, აკადემიური და მოწვეული პედაგოგები), მაგისტრანტების მზადების ორგანიზაციული, მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის და საუნივერსიტეტო ადმინისტრაციული ხარჯები. 2019 წლის სამაგისტრო პროგრამის „ფარმაციის მენეჯმენტის“ ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცდა 2018 წლის 25 ნოემბერს. (ფარმაციის ფაკულტეტის სხდომის ოქმი #2) შეადგენს 63000 ლარს. საიდანაც 38220 ლარი არის ხარჯები, არაფინანსური აქტივები - 3000 ლარი. ნაშთი პერიოდის ბოლოს 21780 ლარი. ბიუჯეტში ფიქსირდება პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც ერთჯერადის, ასევე პერიოდულის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თანმხლები ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				

4. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსუ-ში ხარისხის განვითარების ერთიანი პოლიტიკაა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტრუქტურული და ფუნქციური რგოლია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ იერარქიაში, რომელიც ხარისხის პოლიტიკის ზემოაღნიშნულ პრინციპებს ახორციელებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგია ორიენტირებულია თსსუ-ში საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების, სამედიცინო და ფარმაცევტული მომსახურების იმგვარ განვითარებაზე, რომ თსსუ-მა განამტკიცოს და განავითაროს სტუდენტების, პარტნიორების და საზოგადოების აღიარება და ნდობა უპირველესად საქართველოში, ასევე, ევროპასა და მსოფლიოში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ფარმაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სრულად ითვალისწინებს ხარისხის მართვის/უზრუნველყოფის ციკლურ პარადიგმას „დაგეგმე –განახორციელე –შეამოწმე - იმოქმედე“ (PDCA). უნივერსიტეტში ხარისხის განვითარების ერთიანი კონცეფციაა. ამიტომ, ფარმაციის ფაკულტეტზე მიმდინარე სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ფუნქციურად „ექვემდებარება“ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და, ამავე დროს, მოქმედებს ფაკულტეტის/პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს და უზრუნველყოფს კოორდინირებულ მუშაობას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს თსსუ–ის მისიის განხორციელების ჰარმონიულობას და საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურ განხორციელებას. თსსუ-ში ხარისხის განვითარებაში მონაწილეობს „ხარისხის შემფასებელი“

(„შემფასებელი“) და„ხარისხის უზრუნველყოფის ობიექტი“ („ობიექტი“).

„შემფასებელი“, უპირველესად, თსსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, პროფესიული საზოგადოება და კურდამთავრებულებია; მათი ამ მიმართულებით საქმიანობის ორგანიზაციულ, სამართლებრივ, ეკონომიკურ და სხვა ასპექტებს ადმინისტრაციული რგოლი უზრუნველყოფს. „ობიექტი“, უპირველესად, საგანმანათლებლო პროგრამები და მათი კომპონენტების/დონეების და რესურსების ერთობლიობაა (ადამიანური და მატერიალურ–ტექნიკური რესურსი →კურიკულუმი→კურსი→მოდული→დისციპლინა→სილაბუსი→ ...); ანუ, „ობიექტი“ ამ ერთობლიობის და მისი შემადგენელი ელემენტების მიზნების, ამოცანების, შინაარსის, მოცულობის, ცოდნის ხარისხის შეფასების კრიტერიუმების და სისტემის, ორგანიზების თავისებურებების და მეთოდური/მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის ობიექტური ინდიკატორების კომპლექსური შეფასებაა, რაც სათანადო აკადემიური ხარისხის შედეგის მიღწევის პირობას წარმოადგენს.

„შემფასებელი“, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის თსსუ-ის სტუდენტიც, რომელიც საუნივერსიტეტო ერთობის აქტიური წევრია და მისი კომპეტენციის და ჩართულობის ფარგლებში მონაწილეობს მიღწეული შედეგების შეფასებაში/თვითშეფასებაში. სტუდენტის ჩართულობის ხელშეწყობა ზრდის საგანმანათლებლო სისტემის სტუდენტზე ორიენტირებულობის ხარისხს. მასწავლებელზე ორიენტირებული პროგრამის საპირისპიროდ (რომელიც დროზე არაა დამოკიდებული და a priori ემყარება მხოლოდ იმ დაშვებას, რომ პროფესორმა ზუსტად იცის, რა უნდა ასწავლოს სტუდენტს), სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევს კურიკულუმის დაგეგმვას და აღსრულების რეალურობას, იგი სასწავლო პროგრამის და სასწავლო გარემოს, უპირველესად, სტუდენტისთვის ვარგისიანობაზეა ფოკუსირებული, ცხადია - გამომდინარე უნივერსიტეტის ადამიანური/ინფრასტრუქტურული რესურსიდან და კურსდამთავრებულის მომავალი სოციალური და პროფესიული როლიდან.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი უმაღლესი განათლების დიპლომის შემდგომ ეტაპზე კურსდამთავრებულის კვალიფიკა-ცია, კომპეტენცია და მის მიერ მიღებული ინტელექტურ-მეთოდოლოგიური რესურსის (ცოდნის) შრომის ბაზარზე რეალიზების შესაძლებლობა/პესპექტივაა. ეს ბოლო ასპექტი კურიკულუმის სწორად დაგეგმვის, მისი ეფექტური განხორციელების, შედეგების ობიექტური, გაზომვადი კრიტერიუმებით შესწავლის და შეფასების პროცესთა ჯაჭვის განვითარებას განსაზღვრავს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამ ჯაჭვის ყველა რგოლში მონაწილეობს, თუმცა - სხვადასხვა აქტივობით; ასევე, განსხვავებულია კვლევების სავალდებულოდ ჩართულობის ფორმატი ამ უწყვეტი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, მმართველობის უმაღლესი ორგანოს - აკადემიურ საბჭოს სთავაზობს ობიექტურ მასალაზე დაყრდნობილ სარწმუნოდ გაანალიზებულ ინფორმაციას და, უხშირესად, ასევე - რეკომენდაციებს, რომლებიც საფუძვლად ხდება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმები ეყრდნობა ხარისხის განვითარების ორ მოდელს: არსებული ვითარების შეფასება (პირველ რიგში - ფაკულტეტის დონეზე, პროგრამის რეალიზების ფორმატში); შეფასების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება/შეთავაზება მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ან შენარჩუნებისათვის.

ხუს–ის ეგიდით ჩატარებული შეფასებითი მუშაობის დასაბუთებული და აკადემიური საზოგადოების მიერ გაზიარებული შედეგები საფუძვლად ედება სასწავლო პროგრამების, მათ შორის სამაგისტრო პროგრამის „ფარმაცევტული ანალიზი“, გეგმების და სხვა აკადემიური აქტივობის განვითარებას; ხუს–ის ანგარიში ჩატარებული კვლევის

შედეგების და მათი პირველადი ანალიზის შესახებ წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს/კურიკულუმის კომიტეტს/აკადემიურ საბჭოს და ხდება საფუძველი ამა თუ იმ აქტივობის კორექციისა თუ გაძლიერებისათვის.

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად, პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი და შიდა ხარისხის სამსახური მათთან ერთად ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების (ერთსაფეხურიანი, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) სადოქტორო კვლევის, სილაბუსების, სამეცნიერო პუბლიკაციების და სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმები და პროცედურა. ფაკულტეტ(ებ)ის ხუს სრულად იყო ჩართული ფარმაციის ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომების (ანუ, სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის) შეფასების კრიტერიუმების და ინდიკატორების შემუშავებაში. ყველა ახალი, ან განახლებული საგანმანთლებლო პროგრამა ფასდება დადგენილი კრიტერიუმებით. პროგრამის განხილვის მსვლელობის ეტაპობრიობა და ვადები დამოკიდებულია ამ შეფასების შედეგებზე. თუ შეფასება უარყოფითია/არასაკმარისია, მასალა ავტორს უბრუნდება გადასამუშავებლად და ეძლევა შესაბამისი რეკომენდაციები. ხუს–ში ექპერტიზის პროცედურა კონფიდენციალურია, რაც ზრდის საექსპერტო შეფასების ობიექტურობის ხარისხს; გათვალისწინებულია, ასევე, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის საკითხი (ციკლის ფაზა – P-D-C). ხუს ცდილობს, საექსპერტო შეფასებაში ჩართოს შესაბამისი დარგობრივი პროფესიული საზოგადოება როგორც საუნივერსიტეტო, ასევე, გარე რესურსის გამოყენებით.

სასწავლო პროცესის შეფასება არ გულისხმობს პროცესის კონტროლს, როგორც ასეთს: მეცადინეობის ჩატარებისა და გაცდენის აღრიცხვა არ წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობას, თუმცა, აკადემიური გარემოს შეფასების ასპექტში სასწავლო პროცესის მონიტორინგის ელემენტები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ტაქტიკურ ამოცანებს ემთხვევა და ამდენად, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობს ამ სამუშაოშიც.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასებითი და ანალიზური სამუშაოს პერიოდულობა ასეთია: საგანმანათლებლო პროგრამის და მისი ცალკეული კომპონენტის (მეტადრე – სილაბუსების) შეფასება - სასწავლო წელიწადში ერთხელ მაინც; სტუდენტთა შეფასებისა - სემესტრში ერთხელ მაინც; ბეჭდური სასწავლო და სამეცნიერო პროდუქციისა - საჭიროებისამებრ; სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა - სემესტრში ერთხელ მაინც; პროგრამაში ჩართული პერსონლის შეფასება და თვითშეფასება – დადგენილი ფორმით და პერიოდულობით. მაგისტრანტების არათანაბარი რაოდენობა სხვადასხვა მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რიგ შემთხვევებში, ართულებს მაგისტრანტთა შეფასების სარწმუნო ისეთი რაოდენობრივი კვლევის ჩატარებას, რომელიც თვისობრივი დასკვნებისათვის იქნება საფუძველი; თუმცა პროფილურად დაჯგუფებული პროგრამების კვლევა, შედეგების შემდგომი ინტერპრეტაციით, დარგში სამაგისტრო განათლების საფეხურის პრობლემების შესახებ სავსებით მკაფიო სურათს ქმნის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ისხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისდებულება
- შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები

○ პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები (სტუდენტების პროგრესია, სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების მაჩვენებელი)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმები აავტორიზაცია და აკრედიტაცია. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას" და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას". თსსუ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, დადგენილი პერიოდულობით წარუდგენს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას თვითშეფასების წლიური ანგარიშის სახით დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად. ასევე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ყოველწლიურად დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად, წარედგინება ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას. სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დროს ექსპერტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებს და სათანადო ცვლილებები შეაქვთ პროგრამაში. თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის #24/2 დადგენილებით დამტკიცებული დოკუმენტის "საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი" მიხედვით, პროგრამაში განსახორციელელ ცვლილებებს განიხილავს პროგრამის ხელმძღვანელი/-ები, პროგრამაში ჩართული პერსონალი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინფორმაცია ცვლილებების შესახებ ეცნობება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულს; იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება ეხება პროგრამის

სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების განსახილველად ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. საბოლოო გადაწყვეტილება პროგრამაში განსახორციელებელიცვლილებების შესახებ მიიღება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ და ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს. გარე შეფასებაში, ასევე, მონაწილეობენ დარგის პროფესიონალები პარტნიორი ან სხვა უმაღლესი დაწესებულებებიდან, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები სპეციალური გამოკითხვების მეშვეობით. თსსუ-ი გეგმავს საერთაშორისო ქსელებში მონაწილეობას საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე ეფასების მიზნით; უცხოელი გარე ექსპერტების, ანუ რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სპეციალისტების მონაწილეობით. სამაგისტრო პროგრამის „ფარმაციის მენეჯმენტის“ განვითარებისა და მასში ცვლილებების განხორციელების მიზნით, ხორციელდება გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გათვალისწინება. მიმდინარე პერიოდში ერთგავრი Peer Review- ფორმატით განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის „ფარმაციის მენეჯმენტის“ გარე ხარისხის შეფასება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ დეპარტამენტისა და ამავე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ხელმძღვანელის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გარე ხარისხის შეფასების დოკუმენტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მოხდა სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებულების ჩართულობით. ჩატარდა გამოკითხვები ელექტრონულად (SurveyMonkey) პროგრამით, მიღებული

ინფორმაცის შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამის განახლების უზრუნველსაყოფად და განსავითარებლად, მისი ეფექტიანობის შესაფასებლად. გამოკითხვა ჩატარდა „ფარმაციის მენეჯმენტი“ სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის მაგისტრანტების. დაცული იყო კონფიდენციალობა. შედეგებიდან, რომელიც მოცემულია ცხრილში, ნათლად გამოიკვეთა, რომ მათ შეგნებულად აქვთ არჩევანი გაკეთებული, პროგრამის დადებითი შეფასების პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, თუმცა ვფიქრობ მათი ნეგატიური განწყობის დაბალი პროცენტული მაჩვენებელზეც საჭიროა ყურადღების გამახვილება, პრობლემაზე ფოკუსირება და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარება. სამაგისტრო პროგრამის „ფარმაციის მენეჯმენტის“ სტუდენტთა აზრთა კვლევის შედეგები: პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ (წინასწარ შედგენილი კითხვარის საშუალებით) გავლილ კურსს. სწორედ ასეთი გამოკითხვების საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები სამაგისტრო პროგრამაში პროფესიული ინგლისურის სწავლებასთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა -

ნატო ალავიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის